ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №147

(მომსახურების შესყიდვა)

ქალაქი ფოთი

8 აგვისტო 2014 წელი

1. ხელშეკრულების მხარეები

1.1. ერთის მხრივ, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი (შემდეგში „შემსყიდველი"), წარმოდგენილი ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის ირაკლი კაკულიას სახით და მეორეს მხრივ, ინდივიდუალური მეწარმე ირმა გვალიას სახით, შემდეგში „მიმწოდებელი" - ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

„გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის შესაბამისად, ობიექტის შესყიდვა შეიძლება განხორციელდეს გამარტივებული შესყიდვით, თუ ხორციელდება წარმომადგენლობით ხარჯებთან დაკავშირებული სახელმწიფო შესყიდვა.

„შემსყიდველი", ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით შეისყიდის, ხოლო „მიმწოდებელი" მიაწოდებს, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის 2014 წლის 8 აგვისტოს №356 ბრძანების საფუძველზე, ქალაქ ფოთში, საქართველოს ლტოლვილთა განსახლების სამინისტროს და საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს წარმომადგენლების ვიზიტთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებას (სტუმრების კვება), (შემდეგში „მომსახურება").

2. ხელშეკრულების ობიექტის დასახელება, კლასიფიკატორის კატეგორია

2.1 ობიექტის დასახელება – ქალაქ ფოთში, საქართველოს ლტოლვილთა განსახლების სამინისტროს და საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს წარმომადგენლების ვიზიტთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიების (სტუმრების კვება) შესყიდვა (დანართი №1).

2.2 შესყიდვის საშუალება – გამარტივებული შესყიდვა.

2.3 შესყიდვის კატეგორია – **55300000** - რესტორნებისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოების მომსახურებები.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **1333** (ერთი ათას სამასოცდაცამეტი) ლარს, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადებისა და სხვა ხარჯების ჩათვლით.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და პირობები

4.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 2014 წლის 9 აგვისტოს ჩათვლით.

4.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია წარუდგინოს შემსყიდველის უფლებამოსილ პირს, შესაბამისი დოკუმენტაცია (მიღება-ჩაბარების აქტი, ანგარიშ-ფაქტურა და სხვა).

5. ხელშეკრულების შესრულების გარანტია

5.1 შესყიდვის ობიექტის ხარისხი უნდა აკმაყოფილებდეს ამ სფეროში არსებულ, საქართველოში მოქმედ სტანდარტებს, ხელშეკრულების პირობებს და შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

6. ხელშეკრულების კონკრეტული მოქმედების ვადა

6.1 ხელშეკრულების კონკრეტული მოქმედების ვადა განისაზღვრება, ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან და მოქმედებს 2014 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით.

7. შესყიდვის ობიექტის ანგარიშსწორების ფორმა და მიღება-ჩაბარების წესი

7.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე. მიღება-ჩაბარების აქტს ხელს აწერს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი.

7.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება - ლარებში.

7.3 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით – (გადარიცხვა).

7.4 ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება მოწოდებული საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუმეტეს 20 (ოცი) საბანკო დღის განმავლობაში.

8. ფორს-მაჟორი

8.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, ადგილობრივი ბიუჯეტის დეფიციტი, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

8.2 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

9.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

9.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9.4 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო

კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის და ამ დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით.

10. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

10.1 შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი დაავალოს თანამშრომელს ან თანამშრომელთა ჯგუფს.

10.2 ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პირების ფუნქციაა მისაწოდებელი ან/და მიწოდებული საქონლის მოცულობის, ხარისხისა და მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა.

10.3 ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განხორციელება შესაძლებელია ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს თვითმმართველი ქალაქ ფოთის მერიის ადმინისტრაციული სამსახური.

10.4 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განხორციელებისათვის აუცილებელი პერსონალის და ტექნიკური საშუალებების გამოყოფა, ასევე უზრუნველყოს საჭირო სამუშაო პირობები.

11. სხვა პირობები

11.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ოთხ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან ერთი – მიმწოდებელთან, სამი - შემსყიდველთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

11.2 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

11.3 აღნიშნული ხელშეკრულებით გაუთვალისწინებული საკითხები რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობით.

12. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

,,შემსყიდველი"	,,მიმწოდებელი"
ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი	ინდივიდუალური მეწარმე
მის: ქ. ფოთი, დ. აღმაშენებლის ქ. №-12 სს ,,ლიბერთი ბანკი" ბ/კ LBRTGE22 ა/ა GE 40LB0120125805505002, ს/კ № 215138143	მის: ქ. ფოთი, მ. კოსტავას ქ. №200 სს ,,პროკრედიტბანკი" ფოთის ფილიალი ბ/კ MIBGGE22 ა/ა GE 43 PC0103600100013177 ს/კ 62006026719
----------	----------
ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი ირაკლი კაკულია	ირმა გვალია

დანართი №1

ქალაქ ფოთში, საქართველოს ლტოლვილთა განსახლების სამინისტროს და საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს წარმომადგენლების ვიზიტთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიების მომსახურება

კვებით მომსახურების ფასების და მიწოდების გრაფიკი

№	მომსახურების დასახელება	რაოდენობა და განზომილება	მომსახურების ღირებულება დღეების რაოდენობაზე	სულ მომსახურების ღირებულება	მოწოდების ადგილი
1	ქალაქ ფოთში, საქართველოს ლტოლვილთა განსახლების სამინისტროს და საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს წარმომადგენლების ვიზიტთან დაკავშირებით სტუმრების კვებით უზრუნველყოფა	38 კაცი	1 დღე	1333	ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი
	სულ			1333 ლარი	

„შემსყიდველი"

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი
ირაკლი კაკულია

„მიმწოდებელი"

ინდივიდუალური მეწარმე

ირაკლი გვალია

დამოწმებულია
თვითმმართველი ქალაქ ფოთის მერიის
ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი

ზვიად შუბითიძე

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერს —

ბატონ ირაკლი კაკულიას

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის

მერიის ადმინისტრაციული *სამსახურის*

უფროსის ზვიად შუბითიძის

2014-08-08

მოხსენებითი ბარათი

გაცნობებთ, რომ 2014 წლის 09 აგვისტოს, ჩვენს ქალაქს ესტუმრება საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს და საქართველოს რეგიონალური განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს დელეგაციები -- ლტოლვილებისთვის ბინების გადაცემასთან დაკავშირებით.

დელეგაციის შემადგენლობა შეადგენს 38 კაცს (ორი მინისტრი, ფოთის მაჟორიტარი დეპუტატი, სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორი, და მათი თანმხლები პირები).

ზემოხსენებული შეხვედრის ორგანიზებასთან დაკავშირებით მიზანშეწონილია ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლობითი ხარჯის მუხლიდან გამოიყოს თანხა და დაფინანსდეს ვახშამი 1333 (ერთი ათას სამას ოცდაცამეტი) ლარის ოდენობით რესტორან <კვიპაროსში> (ფოთი).

გთხოვთ, დაავალოთ თვითმმართველი ქალაქ ფოთის მერიის შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურს ზემოხსენებული ღონისძიების გატარებასთან დაკავშირებით ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებისა და სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების მომზადება.

ზვიად შუბითიძე —
სამსახურის უფროსი

შემსრულებელი :

ალექსანდრე ქვარცხავა —
საგარეო ურთიერთობისა და
პროტოკოლის განყოფილების
უფროსის მოვალეობის შემსრულებელი

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის
ადმინისტრაციული სამსახური

7/623
08 08 14

საქართველო
ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის
ბრძანება №356

ქ. ფოთი „08" აგვისტო 2014 წ.

ქალაქ ფოთში საქართველოს ლტოლვილთა განსახლების სამინისტროს და საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს წარმომადგენლების ვიზიტთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ.

2014 წლის 9 აგვისტოს დაგეგმილია ქალაქ ფოთში საქართველოს ლტოლვილთა განსახლების სამინისტროს და საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს წარმომადგენლების ვიზიტი, ლტოლვილებისათვის საცხოვრებელი ბინების გადაცემასთან დაკავშირებით.

„საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს შესაბამისად, წარმომადგენლობითი ხარჯები გულისხმობს, როგორც საქართველოს მოქალაქეებზე გაწეულ წარმომადგენლობით ხარჯებს, აგრეთვე, იმავე ღონისძიების ფარგლებში უცხოელ სტუმრებზე გაწეულ ხარჯებსაც. აღნიშნული კატეგორია მოიცავს მიღებასა და სხვა ღონისძიებებს, სუვენირების შეძენა/დამზადებას, სხვა დანარჩენ წარმომადგენლობით ხარჯებს.

ზემოხსენებული ვიზიტის ორგანიზებასთან დაკავშირებით, მიზანშეწონილია ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლობითი ხარჯის მუხლიდან, გამოიყოს თანხა ქალაქ ფოთში საქართველოს ლტოლვილთა განსახლების სამინისტროს და საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს წარმომადგენლების კვებით უზრუნველსაყოფად.

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის, „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. ქალაქ ფოთში საქართველოს ლტოლვილთა განსახლების სამინისტროს და საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს წარმომადგენლების ვიზიტთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების ორგანიზებასთან დაკავშირებით ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლობითი ხარჯის მუხლიდან გამოიყოს 1333 (ერთიათას სამასოცდაცამეტი) ლარი, კვების შესყიდვის მიზნით.

2. თვითმმართველი ქალაქ ფოთის მერიის შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურმა აღნიშნული ბრძანების პირველ პუნქტში მითითებული მომსახურების შესყიდვასთან დაკავშირებით მოამზადოს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება და გაატაროს სათანადო ღონისძიებები.

3. თვითმმართველი ქალაქ ფოთის მერიის საფინანსო და ეკონომიკური განვითარების სამსახურმა უზრუნველყოს ანგარიშსწორება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების, მიღება-ჩაბარების აქტისა და სათანადო დოკუმენტაციის საფუძველზე.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი ირაკლი კაკულია

საფუძველი: „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონი, თვითმმართველი ქალაქ ფოთის მერიის ადმინისტრაციის სამსახურის უფროსის 2014 წლის 8 აგვისტოს №8/623 მოხსენებითი ბარათი.

ბრძანება ეგზავნება: კადრებისა და საქმისწარმოების განყოფილებას, თვითმმართველი ქალაქ ფოთის მერიის საფინანსო და ეკონომიკური განვითარების სამსახურს, თვითმმართველი ქალაქ ფოთის მერიის შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურს.

შემსრულებელი
თვითმმართველი ქალაქ ფოთის მერიის
შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური
უზრუნველყოფის სამსახური.